ოქმი:**ო08. 3725351001**

თარიღი:**17/12/2025**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის სხდომის

2025 წელი, 16 დეკემბერი

ქ.ოზურგეთი

15:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე-მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ნ. ურუშაძე, გ. კილაძე, ზ. მორჩილაძე, ტ. ბარამიძე, პ. კიღურაძე, ზ. სალუქვაძე, მ. ცქვიტიშვილი, თ. ქინქლაძე, დ. თოიძე, ლ. ქვილორია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი პავლე ჭყონია.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ“

მომხსენებელი: ბექა თოიძე

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. პ.ჭყონიამ, აღნიშნა, რომ 2026 წლის ბიუჯეტის გადასახადების მოცულობა შეადგენს 48070,0 ათას ლარს. რაც 2025 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 4670,0 ათ.ლარით, ეს კი პროცენტულად შეადგენს 10,76% - ს.ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს გააცნო ცალკეული

პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების პარამეტრები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა - დამტკიცების მიზნით.

ბექა თოიძე

აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი